N410 2015 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქმეზე „შპს სტუდია მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, 2015 წლის 30 ივნისს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 9 375 (ცხრა ათას სამას სამოცდათხუთმეტი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

**ირაკლი ღარიბაშვილი**